



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვეფხვი



ვეფხვი (*Panthera tigris*), მტაცებელი ცხოველი კატისებრთა ოჯახისა. არსებობს 3 ქვესახეობა: ამურული (*P. t. altaica*), კორეული და თურანული (*P. t. virgata*), ვ-ის სხეულის სიგრძე – 290 სმ, კუდისა – 110 სმ, მასა 320 კგ აღწევს. სხეული მოყვითალო და შავბოლებიანია. გავრცელებულია შუა აზიაში, კასპიის ზღვის სანაპიროზე – ლენქორანში, თალიშში, თურანსა და ირანში. საქართველოში თურანული ვ-ის

შემოსვლის რამდენიმე შემთხვევაა აღრიცხული. XVIII ს-ში ორი ვ. მოკლეს ჭარ-ბელაქანში, ერთი – ახმეტის მახლობლად, ერთიც – 1922 თბილისთან ახლოს, სოფ. ლელობთან. ვ. ბინადრობს ტყე-ბუჩქნარიან მდინარის სანაპირო, უფრო ტუგაის ტიპის ტყეში. იკვებება გარეული და შინაური ცხოველებით, თავს ესხმის ადამიანსაც. 4 წლიდან ვ. მრავლდება ორ წელიწადში ერთხელ. მძუნაობს დეკემბერ-იანვარში, მაკეობა 112 დღ-ღ-მდე გრძელდება, მაისში შობს 2-4 ბოკვერს. ერთი თვის ბოკვრები უკვე დედას დასდევენ და ნადირობაში იწვრთნებიან. ვ. უძვირფასესი ზოოლ. ექსპონატია. რაოდენობრივი სიმცირის გამო შეტანილია ბუნების დაცვის საერთაშ. კავშირის წითელ წიგნში.

ა. არაბული
